საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4475
16/08/2022

4475-21-2-202208161327

შპს ,,თენგო-2000"-ს
მის: ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, II შახტა
ელ. ფოსტა: tengo2000vale@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3389 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქ. ვალეში შპს ,,თენგო-2000"-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საწარმოს შემადგენელი ყველა ობიექტის განთავსების GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს, საპროექტო სალექარის შესახებ სრული ინფორმაცია, მათ შორის, ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესის აღწერა, სქემატური ნახაზი, ინფორმაცია სალექარის კედლების პარამეტრებისა და პირველი სექციის ფსკერის მოწყობის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო სალექარის მეორე სექციის მოცულობა;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (სალექარის ეფექტურობა);
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა და გამოსაყენებელი ტექნიკა (რაოდენობისა და სახეობების მითითებით);
- დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წარმოქმნილი გრუნტის განთავსების და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში აღწერილი და შეფასებული არ არის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო